პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 111 (19852) პარასკევი, 15 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ზეთოვანი კულტურების თესლისა და მცენარეული ზეთის წარმოების გაზრდის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა ზეთოვანი კულტურების თესლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველყოფისადმი, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოების გაზრდისა და დროული გადამუშავებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას. ამ მიზნით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და გადამმუშავებელ საწარმოებში შექმნილი საწარმოო პოტენციალი დამაკმაყოფილებლად არ გამოიყენება. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ნაწილი სხვისი მოიმედობის ტენდენციებს იჩენს ზეთოვანი კულტურების თესლზე მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო პროგრამის დავალებანი მზესუმზირას, სოიოს, რაფსის წარმოების გაზრდისა და მცენარეული ზეთის გამომუშავების შესახებ არ სრულდება და სახელმწიფო იძულებულია დიდი მოცულობით შეისყიდოს იგი იმპორტის გზით.

მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფო რესურსებს დააკლეს მზესუმზირას და სხვა ზეთოვანი ნედლეულის დიდძალი თესლი. მნიშვნელოვნად შემცირდა ზეთოვანი კულტურების სათესი ფართობები რუსეთის სფსრ, უკრაინისა და მოლდავეთის სსრ რესპუბლიკების მეურნეობებში. ამ კულტურების მოსავლიანობა მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მცირეა.

მზესუმზირას წარმოებაში განსაკუთრებით მკვეთრი დაქვეითებაა დაშვებული. ვორონეჟის, ვოლგოგრადის, პენზის, სარატოვის, როსტოვის, ვოროშილოვგრადისა და ოდესის ოლქებში. სისტემატურად ვერ ასრულებენ ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს ყაზახეთის სს რესპუბლიკის მეურნეობები.

ნელი ტემპით იზრდება სოიის წარმოება შორეული აღმოსავლეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სარწყავ მიწებზე. ნელა ითვისებენ ზეთოვანი თესლის მისაღებად რაფსის მოვლა-მოყვანას ბელორუსიის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უკრაინის დასავლეთი ოლქების, რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის, ციმბირისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის მეურნეობები.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის პუბლიკაციების სამინისტრო, აგროსამრეწველო კომიტეტები და გაერთიანებანი სუსტად მუშაობენ იმისათვის, რომ სრულყონ ზეთოვანი კულტურების სელექცია და მეთესლეობა, ფართოდ აითვისონ მათი მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია, თავიდან აიცილონ ზეთოვანი ნედლეულის დანაკარგები და გაფუჭება მისი დამზადების, შენახვისა და გადამუშავების დროს, განახორციელონ ცხიმ-ზეთის მრეწველობის მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია და ახალი საწარმოების მშენებლობა.

სსრ კავშირს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს საჭირო რაოდენობის დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება ინტენსიური ტექნოლოგიებით ზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისა და გადამმუშავებელ საწარმოთა ტექნიკური განახლებისათვის.

ყველა ამ ნაკლსა და ხარვეზს ჯეროვანი პრინციპებით ვერ აფასებენ რესპუბლიკური და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ისინი ხშირად ურიგდებიან საქმის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ზეთოვანი კულტურების თესლისა და მცენარეული ზეთის წარმოებაში, არ იჩენენ სიმტკიცესა და მიზანსწრაფვას მის საბოლოო გამოსწორებაში. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ ქვეყნის მოთხოვნილება მცენარეულ ზეთზე, გავაძლიეროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაინტერესება ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოების გადიდებითა და სახელმწიფო რესურსებში მიყიდვისათვის, დადგენილებით გათვალისწინებულია:

1987 წლის მოსავლიდან დაწყებული დაწესდეს შემდეგი შესასყიდი ფასები: ტონა საბაზისო კონდიციის მზესუმზირას თესლისათვის — 350 მანეთი, რაფსის, შალგის, ზეთიანი სკლის, მდოგვისა და წიწმატასელისათვის — 400 მანეთი და სოიისათვის — 450 მანეთი;

1987-1990 წლებში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიური დონის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მი-

(დასასრული მე-2 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვის სტუმრობა

ბაიკონურის კოსმოდრომზე და ქ. ლენინსკში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 11-13 მაისს იმყოფებოდა ყაზახეთის სს რესპუბლიკის ბაიკონურის კოსმოდრომზე და ქ. ლენინსკში.

ამ ადგილებში ყოფნისას მ. ს. გორბაჩოვი მრავალჯერ შეხვდა და ესაუბრა მეცნიერებს, სპეციალისტებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი.

მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო კოსმოდრომზე წარმოდგენილი კოსმოსური ტექნიკის ნიმუშებს. ამ უნიკალური სამეცნიერო-საკვლევი და საცდელი კომპლექსიდან იღებენ სტარტს საბჭოთა პილოტირებული და ავტომატური კოსმოსური ხომალდები. აქედან „განზრაციელდა „მირ“ თობის ორბიტული სადგურის გაშვება, რომელიც ამჟამად მუშაობს კოსმოსში. ლაბორატორიების საცდელი სტენდებისა და სასტარტო მოედნების გვერდით აღმართულია კოსმოდრომის ადმინისტრაციული ცენტრი — თანამედროვე ქალაქი, რომელიც რევოლუციის ბელადის სახელობისაა, — ლენინსკი.

სტუმარს უჩვენეს კოსმოსური აპარატები, რომლებიც სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის გამოიყენება, — კავშირგაბმულობის, ტელევიზიის, მეტეოროლოგიის, კოსმოსური სივრცის კვლევის საშუალებანი.

ამჟამად კოსმოდრომზე მიმდინარეობს სამუშაოები ახალი უნივერსალური მატარებელი რაკეტის გასაშვებად, რომელსაც შეუძლია დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაიყვანოს როგორც მრავალჯერადი ორბიტული ხომალდები, ისე სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო დანიშნულების დიდგაბარიტიანი კოსმოსური აპარატები, მათ შორის ხანგრძლივმოქმედი სადგურებისათვის განკუთვნილი მოდულები.

შემმუშავებლებთან და გამომცდელებთან გამართული საუბრების დროს აღინიშნა, რომ კოსმონავტიკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე ხაზზეა და განასახიერებს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგის უახლეს მიღწევებს. მან მოგვცა შესაძლებლობა გაგვეფართოებინა ადამიანის საქმიანობის საზღვრები, ერთიანი ქსელით დაკავშირა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კავშირგაბმულობა და ტელევიზია, დაგვისახა დიდი შესაძლებლობანი, რათა უფრო ღრმად შევისწავლოთ ჩვენი პლანეტის ბუნებრივი რესურსები, გამოვიკვლიოთ ატმოსფეროს და ამინდის მოვლენები, მივიღოთ ახალი ზეხალისი მასალები. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს კოსმოსური ტექნიკა უფრინარესად „მშვიდობიანი მიზნებისათვის, გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის შესწავლის დარგში.

შეხვედრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ყურადღება დაუთმო კოსმოდრომის მუშაკთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს. მან დაათვალიერა პიონერთა სახლი, მაღაზია, სპორტული კომპლექსი, სხვა ობიექტები, ესაუბრა ქალაქის მცხოვრებთ.

აღინიშნა, რომ აქ ხალხი მკაცრ კლიმატურ პირობებში ცხოვრობს და მუშაობს. ამასთან დაკავშირებით ფიზიკოსებმა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქალაქ ლენინსკში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ არცთუ ცოტაა გადასაჭრელი პრობლემებიც. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ წამოსწიონ სოციალური სფერო, მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საკითხებს.

ყველამ, ვისაც კი ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, თქვა, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, რომელიც ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა და პარტიის XXVII ყრილობამ შეიმუშავეს. ლენინსკის საწარმოთა კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნაში, კარგი და მხნე განწყობილებით მუშაობენ დაძაბული რიტმით, შეუპოვრად იბრძვიან დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად.

ადგილობრივ კულტურის სასახლეში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა კოსმოდრომისა და ქ. ლენინსკის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ქვეყნდება.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ზეინკალი ე. თ. არბეკოვი, მშენებელი ი. გ. ჩერნიავსკი, კოსმოდრომის ვეტერანი ა. ა. შუმილინი, პოლიკლინიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. კორმშჩიკოვა და სხვები.

მ. ს. გორბაჩოვმა მოინახულა კოსმოდრომის სამახსოვრო ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ს. პ. კოროლიოვის, ი. ა. გაგარინის მუშაობასთან.

გორბაჩოვთან ერთად კოსმოდრომზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მ. ჩებრიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ნაზარბაევი, პარტიის ყზილ-ორდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. ნ. აუელბეკოვი, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მთელი რიგი ხელმძღვანელები.

(საკდისი).

ვიყოთ საშობლოს პატრიოტები, პატიოსნად ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ქალაქ ლენინსკის მშრომელებთან შეხვედრაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ყველას გულთადად მოგესალმოთ, მადლობა გადაგიხადოთ დამკვრელური მუშაობისათვის, გულმოდგინებისა და შემოქმედებითი შრომისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ ყველანი, საბჭოთა ადამიანები, ყოველთვის სასიამოვნო წარმოთქვამთ სიტყვა „ბაიკონურს“. იგი ჩვენი ხალხის უფიდესი გმირობის, საბჭოთა მეცნიერების ამარჯვების, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დიდი შესაძლებლობების სიმბოლო გახდა.

აქ, ყაზახეთის უკიდეგანო ველებზე, საბჭოთა ადამიანების გონებისა და საქმის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამო სიამაყის გრძნობა გეუფლება. აქ უფრო ძლიერად შეიგრძნობ ოქტომბრის ქვეყნის სიდიადესა და ძლიერებას, მის უდიდეს მიღწევებს, რომლებიც აგვიგრგვინეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხების მიერ 70 წლის მანძილზე გავლილ გზას.

აქედან კაცობრიობამ პირველი ნაბიჯი გადადგა კოსმოსში და ახალი ფურცელი ჩაწერა ცივილიზაციის ისტორიაში. აქედან, ბაიკონურიდან, გავიდა 1957 წლის ოქტომბერში ორბიტაზე დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი — რევოლუციური მეცნიერებისა და ტექნიკის სიმბოლო. აქედანვე 1961 წლის 12 აპრილს გაფრინდა ადამიანის პირველი გეფრენა კოსმოსში — ჩვენი თანამემამულის იური ალექსის ძე გაგარინის ღირსშესანიშნავი გაფრენა. ყოველივე ეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დიადი ნიშანსვეტებია.

საბჭოთა მეცნიერების, მუშების, ინჟინრების, სამხედრო სპეციალისტების გარჯითა და ნიჭით შექმნილი უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი საცდელი კომპლექსი დიად ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ჩვენი ქვეყნის გადაქცევის შესახებ ლენინის ოცნების რეალური ხორცშესხმაა.

აქ არსებითად თავმოყრილია ქვეყნის მრავალი ათეული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციის, უდიდესი მანქანათმშენებელი საწარმოს ინტელექტის პოტენციალი და შუამავლის საბოლოო შედეგი. ეს პოზიტიური ინჟინრული აზრის ნამდვილი პოლიგონია და, მე ვიტყოდი, იგი ყველა მთავარი მიმართულებით აღჭურვილია მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო შემდეგი. აქ, კოსმოდრომზე ყველაფერი — ურთულესი სასტარტო ნაგებობებით, საცდელი სტენდებით, ლაბორატორიებით დაწყებული და მძლავრი თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკითა და ზემგრძნობიარე ხელსაწყოებით აღჭურვილი რაკეტმატარებლებით, კოსმოსური აპარატებით, მათი ცხოველუზრუნველყოფის სისტემებით დამთავრებული — ჩვენებურია, ყოველივე მაღალი ხარისხისაა და თანამედროვე ტექნიკურ დონეზეა შესრულებული. ისევ და ისევ მეტადება მარტივი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა: რატომ ვცდილობთ ხოლმე ზოგჯერ რომ უბრალო საგნებიც კი საზღვარგარეთ შევიძინოთ, თუ დღეს ასეთი დიდი, მასშტაბური და რთული ამოცანების გადაწყვეტის უნარი შეგვწევს.

ყოველივე აქ ნანახი კიდევ ერთხელ ღრმად მარწმუნებს: არაფრად გვჭირდება ამ თვალსაზრისიო საზღვარგარეთის წინაშე თავის დამცირება. ვერავითარი ემბარგო, ჩვენთვის ტექნოლოგიისა და მოწყობილობის მოყიდვა ვერავითარი აკრძალვა, საზღვარგარეთის გარკვეული წრეები რომ მიმართავენ, ვერ დაამუხრუჭებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, გარდაქმნასთან, ჩვენი ეკონომიკის დაჩქარებასთან დაკავშირებული ფიდი სოციალ-ეკონომიკური გეგმების განხორციელებას.

ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ჩვენს მეცნიერებას, სამეცნიერო ინტელიგენციას, ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს. მეორე მხრივ კი, უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა, ბოლო მოვუღოთ თავისებურ „არასრულფასოვნობის კომპლექსს“ და სათანადოდ ავამაღლოთ ის უდიდესი სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მანძილზე შევიძინეთ. ამის უნარი შეგვწევს და ეს, ამხანაგებო, გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

კოსმოსის დარგში მიღწევებს რომ ეხები, გრძნობთ თაობათა ცოცხალ მემკვიდრეობითობას. და დღევანდელ საუბრებში ხშირად ვიხსენებთ იმათ, ვინც 30 წლის წინათ იწყებდა ამ დიად საქმეს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე გაიყვანა.

მართლაც, რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის დარგში მუდამ შრომობდნენ ჩვენი ქვეყნის დიდი მეცნიერები და კონსტრუქტორები. საბჭოთა კოსმონავტიკის სათვეებთან იდგნენ აკადემიკოსები ს. პ. კოროლიოვი, მ. ვ. კელდიში, მ. კ. იანგელი, ვ. ნ. ჩელომეი, ნ. ა. პილიუგინი, მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი დარგის სხვა გამოჩენილი სპეციალისტები.

ეს ადამიანები თავდაუზოგავად მუშაობდნენ. ისინი დიდებას რომი ეძებდნენ, მათთვის მთავარი პირადი პატივი და კეთილდღეობა კი არა, ჩვენი სამშობლოს ძლიერება და აყვავება იყო. ესენი იყვნენ მაღალი სოციალისტური მორალის ადამიანები. და ახლა, როცა დღევანდელობაზე, ჩვენს ამოცანებზე ვლაპარაკობთ, ვფიქრობ, დროული იქნება გავიხსენოთ ისინი კეთილი სიტყვით. ამ ადამიანებმა დროს გაუსწრეს აზრებითა და შეხედულებებით, ისინი, მართლაც რომ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირველმკვლევები იყვნენ.

დღეს აქ, ამ დარბაზშია მათი მემდეგრებისა და მოწაფეების დიდი პლეადა, რომლებიც გულდაჯერებით განაგრძობენ მათ საქმეებს, მაღლა ატარებენ საბჭოთა მეცნიერების დროშას. მინდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მოგესალმოთ ყველას. დიდად ვაფასებთ თქვენს თვალსაჩინო წვლილს ჩვენი განვითარების უდიდესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში.

განსაკუთრებით მინდა მივესალმო ამ ტრიბუნიდან საბჭოთა კოსმონავტებს. კოსმოსური სივრცეში ადამიანის მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ მომზადებას, უაღრესად ღრმა ცოდნას, მაქსიმალურ ნებისყოფას, მორალურ თვისებებს. საბჭოთა კოსმონავტების ანგარიშზეა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

და ახლა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მუშაობს მთელი კოსმოსური ლაბორატორია. ეს თავისთავად მეტად ნიშანდობლივია, და ჩვენ უკვე ვხედავთ ახალ ეტაპებს ჩვენს მიერ კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში. ეს არის „მირ“ სადგური, „ქვანტ“ სამეცნიერო მოდული, „სოიუზ“ და „პროგრეს“ ხომალდები, სადაც ძნელ ვიზეტზე დგანან იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი.

მოდით, აქედან, ბაიკონურიდან მივესალმოთ ჩვენს კოსმონავტებს. მივესალმოთ აგრეთვე ყველას, ვინც უზრუნველყოფს ფრენის მომზადებას, კოსმოსში მუშაობის წარმატებას, ვინც დღედაღამ შრომობს ყოველივე ამის საკეთილდღეოდ. ეს ზოგჯერ მეტად დამღლელი და ძნელი, პასუხსაგები შრომაა. აქ არ ხდება ძირითად და დამხმარე სამუშაოდ დაყოფა, შეიძლება ითქვას, ყველა თანასწორია იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულზე დამოკიდებულია ბევრი რამ, კაცმა რომ თქვას, თითქმის ყველაფერი, უმთავრესი — საბოლოო შედეგი. არც დიდ, არც პატარა საქმეში არ შეიძლება აქ შეცდომის დაშვება. ეს ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მაგალითია. მეტად საჭირო მაგალითია ჩვენთვის ახლა, როცა საზოგადოება მიუახლოვდა ახალი ამოცანების გადაწყვეტას. ახალი ამოცანები კი ძველი მიდგომით, ცოდნისა და პროფესიული მომზადების ძველებური დონით ვერ გადაიჭრება. ყველამ ისე უნდა ვიმუშაოთ, როგორც მუშაობენ კოსმოდრომზე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის: ვიყოთ ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ნამუსიანად, კომპეტენტურად შევასრულოთ დაკისრებული საქმე.

თქვენ საქმეების გაცნობას კიდევ ერთი უდიდესი მნიშვნელობაც აქვს, მე ვიტყოდი, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ის, რაც თქვენთან ხდება, და ის, რომ შეგწევთ ასეთი ურთულესი პრობლემების გადაჭრის უნარი, მარწმუნებს — XXVII ყრილობის მიერ ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის და უფნინარეს ყოვლისა საბჭოთა მანქანათმშენებლობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა ხელგეფფიებათ და გადაწყვეტთ კიდეც. ეს კი საკვანძო რგოლია იმისათვის, რომ ჩვენმა ეკონომიკამ მიაღწიოს ახალ მიჯნებს, ახალ ტექნიკურ დონეს, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უფრო რესურსდამზოგავი მუშაობა.

უამისოდ კი ამხანაგებო, დაჩქარება შეუძლებელია. ისმება კითხვა, თუ თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ისეთი რთული ამოცანები, რომლებიც იმაზე მაღლა დგას, რომლებიც სხვა დარგებშიც ხდება, მაშასადამე, მათი გადაწყვეტა შეუძლიათ და კიდეც უნდა გადაწყვიტონ ასეთი წარმატებით დანარჩენებმაც. და ეს გამტკიცებს იმის რწმენას, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.

თუ ვილაპარაკებთ გარდაქმნაზე, მივმართავ ასეთ შედარებას: ქვეყანაში დაწყებული გარდაქმნა კოსმოსში მძლავრი რაკეტის გაჭრას ჰგავს.

გარდაქმნის საქმე ისევე მუყაითად და კეთილსინდისიერად, საფუძვლიანად უნდა უზრუნველყოთ, როგორითაც ვამზადებთ და უზრუნველყოფთ კოსმოსური ფრენის საიმედოობას. ყველაფერი საფუძვლიანად უნდა გარდაქმნათ ყველა მმართულებით — ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ სფეროებშიც. აი, მაშინ გარდაქმნა ჩვენს საზოგადოებას დააყენებს თავისი განვითარების ახალ მიჯნაზე, სხვა თვისებრივ მდგომარეობაში.

და კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა. ვხედავთ, რომ თქვენ მხურვალედ და გულწრფელად ემხრობით გარდაქმნას, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა პარტიის ხელმძღვანელობით. ადამიანთა ერმა რწმენა იმის საჭიროების შესახებ, რაც ახლა კეთდება ქვეყანაში პარტიის ინიციატივით, ეს კიდევ ერთი არგუმენტია არჩეული გზის მიზანშეწონილობისა. და მე ზმნრად მეკითხებიან, ესტონეთში კი ერთმა ვეტერანმა პირდაპირ დამისვა კითხვა: ეყოფა თუ არა ძალა ჩვენს ხელმძღვანელობას ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული გარდაქმნა. მე „გუპასუხე: ეყოფა, თუ ერთად გამვიყენებთ ამ ძალას — ვეტერანებსაც, მუშათა კლასსაც, გლეხობასაც, ინტელიგენციას, მეცნიერებს, ქვეყნის ყველა თაობას.

გარდაქმნა ქვეყანაში ხორციელდება, და იგი დღითი დღე იზრდება, უფრო კონკრეტულ ფორმებს იძენს, პრობლემების უფრო ფართო წრესა და ეხლვრების უფრო ღრმა ფენებს ეხება. მე ვიტყოდი, რომ გარდაქმნის ეტაპი ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, იმითაც გამოირჩევა, რომ მუშაობა ამ მმართულებით უფრო საქმიან, უფრო კონკრეტულ ხასიათს იძენს, რაც შეეხება ეკონომიკასაც, დემოკრატიის, მეცნიერების ორგანიზაციის, იდეოლოგიური და საკადრო მუშაობის საკითხებსაც.

ამავე დროს ეხედავთ, რომ სიტუაცია მარტივი არ არის. მაგრამ ამან არ უნდა გაგვანერვიულოს, მით უმეტეს, არ გაგვხადოს ურწმუნონნი. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ დიდი მუშაობა გვმართებს.

უნდა გადავწყვიტოთ მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანები ეკონომიკის თვალსაზრისითაც, სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც. ერთდროულად გზადაგზა უნდა ავითვისოთ ახალი მეტანიზმები, უფრო ფართოდ გავშალოთ მეცნიერების პოტენციალი მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის მეშვეობით, რომ იმპულსი მივცეთ მთელ სახალხო მეურნეობას. ამავე დროს თავიდან უნდა მოვიშოროთ ნეგატიური და უძრაობის მოვლენები. როგორც ხედავთ, ყველას უდიდესი დატვირთვა გვაქვს. მაგრამ უნდა გვესმოდეს: რასაც ვაკეთებთ, შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს, შრომითი კოლექტივების ინტერესებს, თითოეული ადამიანის ინტერესებს. ამას მოგვიწოდებს გარდაქმნა. და ჩვენ, ცოდვა გამხელილი სჯობს, უკანასკნელ წლებში მოვდუნდით, ვურიგდებოდით უწმესრიგობას, დისციპლინის შესუსტებას, ჩამორჩენას. და ამან, როგორც იცით, დიდი ზარალი მოგვაყენა. ეს არ უნდა განმეორდეს.

გარდაქმნის თავდაპირველი ეტაპის ერთ-ერთი მონაპოვარია შეცვლილი ატმოსფერო საზოგადოებაში. ჩვენს თვალწინ ხდება საბჭოთა ადამიანების სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის თითქოსდა გამოთავისუფლება. ადამიანები დაინტერესებით მონაწილეობენ საზოგადოების ყველა საქმეში, თამამად და აქტიურად აყენებენ და იხილავენ ჩვენი წინსვლის პრობლემებს. სულ უფრო კლებულობს ისეთი ხელმძღვანელთა რიცხვი, რომლებისთვისაც ახლო წარსულში ჩვეულებრივი საქმე იყო ანგარიშში არ გაეწიოთ ადამიანებისათვის, მათი აზრისა და წინადადებებისათვის. ამ თვალსაზრისით მთელმა ხელმძღვანელმა კადრებმა, რომლებიც სათავეში უდგანან კოლექტივებს წარმოებაშიც, მეცნიერებაშიც, სულიერ სფეროშიც, უნდა გამოიტანონ დასკვნა: ისწავლონ მუშაობა დემოკრატიის პირობებში, ადამიანთა მზარდი აქტიურობის პირობებში. ჩვენ ამ გზიდან არ გადავუხვევთ. უბრალოდ სხვა გზა არ გვაქვს.

გარდაქმნამ უდიდესი იმედები წარმოშვა. ამასთან დაკავშირებით აი, რა მინდა ვთქვა. გარდაქმნა სავსე ბელლების გასაღები არ არის. გარდაქმნა უკლებლივ ყველას მოწვეულია, რომ ვიმუშაოთ უკეთ და საერთო მეცადინეობით საბჭოთა ადამიანების ცხოვრება უკეთესი გავხადოთ.

(დასასრული მე-2 გვ.).

ავამოქმედოთ დაჩქარების ყველა ბერკეტი

გარდაქმნა სულ უფრო აქტიურად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში. იგი მოიცავს შრომითს კოლექტივებს და ყველას და თითოეულის ინტერესებს ეხება. საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები ძიების სტიმულს იძლევა და ითხოვს უკომპრომისო ბრძოლას გულარხეინობის, ინერტულობის, ჩამორჩენილობის, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც დაჩქარების კურსით სვლას აბრკოლებს. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიდი ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა, შემსრულებლობა და კომპეტენტურობა.

ასეთმა პოზიციამ განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე გამართული საუბრის საქმიანი, მომთხოვნელი კილო.

სხდომას საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ოთხი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და 1987 წლის მაისისა და პირველი ნახევრის დავალებათა წარმატებულ რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ მოახსენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

სხდომამ მოიხმინა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ. დ. გულუას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიულ-დარგთშორისი მართვის ფოთის გამოცდილება და როგორ იქმნება რესპუბლიკაში ეკონომიკური ექსპერიმენტების ხელმძღვანელობის სისტემა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების არჩევნების კამპანიის მომდინარეობა დამსწრეთ გააცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ გ. გ. გუმბარიძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა.

ბიუროს გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

გარდაქმნის კრიტერიუმია საბოლოო შედეგი

განვლილ პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მთელი რიგი არაორდინარული ფაქტორების ზემოქმედებით მუშაობდა. ერთი მათგანია სტიქიური უბედურება, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს. მას მოჰყვა არა მარტო ადამიანის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი, არამედ ძალებისა და საშუალებების გადანაწილებაც, სამეურნეო განვითარების რიტმის შეფერხება.

ავდრის შემოტევა გამძლეობისა და დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის სერიოზული გამოცდა გახდა. მაგრამ ზოგიერთი სამეურ

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

გარდაქმნის მიზანია გადაწყვეტოს ამოცანები ადამიანის საკეთილდღეოდ და ამ მიზნების მიღწევის მთავარი საშუალება თვით ადამიანია. ეს დიდი სკოლა მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის. თუ ამ სკოლას ნამდვილად გავივლით, უდიდესი, მასშტაბური ისტორიული ცვლილებები გვექნება.

და კიდევ ერთი რამ. გარდაქმნა ადამიანთა რომელიღაც ჯგუფის ჩანაფიქრი, ამბიცია არ არის. არა, გარდაქმნა ჩვენმა საზოგადოებამ წვლილით მოიპოვა. პოლიტბიურიც, მთავრობაშიც არაერთგზის დაგვისვამს კითხვა საკუთარი თავისათვის (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი კითხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროსაც დამბადებია): აქეს თუ არა გონივრული ალტერნატივა გარდაქმნას? არსებობს თუ არა სხვა წინადადებანი ამ თვალსაზრისით? არა! ყველას ესმის, რომ არჩევანი სწორია და გარდაქმნა წვალებით მოვიპოვეთ. დასკვნა ერთია — ვიაროთ სკკპ XXVII ყრილობის გზით.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გაგვიჭირდება, განსაკუთრებით პირველ წლებში. თუ არ შევდრკებით, მიგვიწევთ გარკვეული შედეგების ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ კი ამაში დარწმუნებული ვართ, გარდაქმნა იკოცხლებს და იგი უდიდეს ნაყოფს გამოიღებს. ჩვენ წამოვაყენეთ რეგიონული რამ მასშტაბის ამოცანები და რეგიონულად უნდა ვიმოქმედოთ. არ შეგვიძლია და უფლებაც არა გვაქვს თუნდაც ერთი დღით მოგდუნდეთ. უნდა გავუძღოთ დაძაბულობას და ამქამადელ უდიდეს ამოცანებს, და, როგორც კოსმოსურ ენაზე ვამბობთ, დიდ გადამეტტვირთვას გარდაქმნის საწყის პერიოდში.

დღითი დღე ვიძენთ გამოცდილებას, ამის უნარს, რომ ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, უნარიანად გამოვიყენოთ დაჩქარების ახალი მექანიზმები. ახლა, როცა გვაქვს გააზრებული პოლიტიკა, სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პრაქტიკულ მუშაობაზე. დღის ლოზუნგი ასეთია: მიღებული გადაწყვეტილებანი განვახორციელოთ! და ეს ეხება ყველას: ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მთავრობას, სამინისტროებს, საკავშირო-რესპუბლიკური მასშტაბის უწყებებს, ოლქებს, ქალაქებს, რაიონებს, შრომითს კოლექტივებს, მთელ ჩვენს კადრებს. ყველამ ხელი უნდა მოჰკიდოს პრაქტიკულ საქმეებს, გამოიჩინოს მეტი ფხიზლობა, წესრიგი და დისციპლინა.

მაგრამ უნდა შეგვნშნო, რომ ჩვენში ზოგან შესუსტდა დისციპლინა და წესრიგი. ზოგს ჰგონია: კამპანია მოვაწყვეთ, ეზო დავგავეთ და ამით ყველაფერი დამთავრდაო. ეს დაუშვებელია. დისციპლინა და წესრიგი, მუშაობის დიდი კულტურა გარდაქმნის ყველა ეტაპზე გვჭირდება.

მალე ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი გვიქნება. ჩვენ მას ვამზადებთ. ამ პლენუმის მთავარი ამოცანაა დამთავრდეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის მთლიანი სისტემის შექმნა. ჩვენ ვიმსჯელებთ საწარმოს კანონის პროექტზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ და მოვითათბირებთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მისი დარგების ჯგუფების მართვის ორგანოების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სამინისტროებისა და უწყებების, სხვა საკავშირო ორგანოების მუშაობის გარდაქმნის საკითხებზე იმ პირობებში, როცა გადავდგავართ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე. საქმე ეხება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი წანამძღვრების შექმნას იმისათვის, რომ გადავიდეთ თანამედროვე ეკონომიკის მართვის მთლიან სისტემაზე. სკკპ-ბაასი საფუძვლიანი და ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.

როგორც ჩანს, ამ პლენუმზე მრგვიწევს იმის თქმა, რის გაკეთება მოხერხდა გარდაქმნის საწყის ეტაპზე, მაგრამ ისიც უნ[illegible] აღნიშნოს, თუ რატომ ყოვნდება გარდაქმნა ჩვენი სახალხო მეურნეობის ზოგიერთი მიმართულებით და ზოგ უბანზე, საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჩვენ მოგვიწევს პირდაპირ და აშკარად წავუყენოთ მოთხოვნები იმათ, ვინც ედობება გარდაქმნას, დღნევ მოქმედებს, იზღდება მხოლოდ სიტყვიერი რიტორიკით გარდაქმნის საჭიროების შესახებ.

აქ ვამოვიდა მუშა ე. თ. არბეკოვი, და მე მას მხარს ვუჭერ: ყველამ უნდა უმატოს მუშაობას და კეთილსინდისიერად აკეთოს თავისი საქმე. ნაკლები ლაპარაკი და მეტი საქმე — აი სწორედ ეს იქნება გარდაქმნა.

მინდა, ამხანაგებო, თქვენც მოგიწოდოთ, რომ ყურადღებით შეხედოთ თქვენს მუშაობას. უკვე ვილაპარაკე თქვენს დიდ მიღწევებზე. თქვენ უფლება გაქვთ იამაყოთ ამ მიღწევებით, რომელიც-თაც სამართლიანად ამაყობს ქვეყანაც. ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, და ამას აღვნიშნავთ როგორც თქვენს უთვალსაჩინოეს წვლილს.

მაგრამ ჩვენს შეხვედრაზე რომ მარტო ეს თქმულიყო და ყურადღება არ დაგვეთმო სუსტი ადგილებისათვის თქვენს მუშაობაში, მაშინ, ვფიქრობ, ვერც კი გამიგებდით, ხოლო ზოგიერთს ეჭვიც კი შეეპარებოდა, მოახსენებენ კი სამართლეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანსო? საერთოდ, რით წავა მოსკოვშო?

ჯერ ერთი, უკვე მოსკოვში ყოფნისას ვიცოდი ძირითადად, რა ხდება თქვენთან. ჩვენ ახლა გვაქვს ინფორმაცია გვაქვს. მან საშუალება მოგვცა დაგვნახა სუსტი ადგილები თქვენს მუშაობაში, რომლებიც მორიგი ამოცანების შესრულებას უკავშირდება. სწორი არ არის, რომ რამდენადმე მივიწყებული, მეორე პლანზე აღმოჩნდა უდიდესი ამოცანების გადაწყვეტაზე მომუშავე მშრომელთა ყოფის, სოციალურ-კულტურული პირობების პრობლემები. და მეორე მე ვითარებას ადგილზე გავეცანი. სურათი სრული გამოვიდა. დასკვნა ნათელია; ნაკლოვანებები და ხარვეზები არის. ამიტომ უნდა ავინაზღაუროთ დაკარგული, გავაფართოოთ ვიწრო ადგილები, გადავჭრათ წამოჭრილი ახალი პრობლემები. ჩვენ მივმართეთ მთელ რიგ ღონისძიებებს სკკპ. ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხაზით თქვენი მეცადინეობის მხარდასაჭერად. ახლა საქმე თქვენზეა.

ჩვენ საგრძნობლად გავზარდეთ ბინების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, კვების მრეწველობის საწარმოების, თონე- და წყალმომარაგების, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების, სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, კულტურის ობიექტების მშენებლობის კაპიტალდაბანდებანი. ყველამ ერთად მოჰკიდეთ ხელი ამ საქმეებს. რატომ ვამბობ ამას? ნაკლები მოცულობის სახსრებსაც კი, რომლებიც წინა წლებში გამოიყოფოდა, არ ითვისებდნენ, ამიტომ საფუძვლიანი მუშაობა გმართებთ, ამხანაგებო. ქალაქში გამართული შეხვედრებისა და საუბრების დროს ვთქვი, რომ ამას კონტროლს გავუწევთ.

ყველას მკაფიოდ უნდა ესმოდეს, რომ ბაიკონური დიდი ხნით, სამუდამოდ არის შექმნილი. ჩვენ არ ვაპირებთ ძალისხმევის შენელებას და კოსმოსის ათვისებაში ავანგარდული პოზიციების დათმობას. ბევრი რამ მივიღეთ კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისებისათვის. გამიზნული ვკლავ-ძიებისაგან. მაგრამ ჩვენ წინაშე დგას ამოცანები, რის შესახებაც ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ — როგორ გავხადოთ კოსმოსის უკეგება უფრო მნიშვნელოვანი როგორც მეცნიერებისათვის, ისე მთელი სახალხო მეურნეობისათვისაც. დღეს ეს პრაქტიკული ამოცანაა, რომელიც მთელი სიმწვავით დგას ჩვენ წინაშე. უფრო გაბედულად უნდა გადავიდეთ ექსპერიმენტებზე და საცდელი სამუშაოებიდან არსებული შესაძლებლობების გეგმაზომიერ და ფართო მასშტაბის გამოყენებაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებისათვის. ჩვენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, მთავარკოსმოსის, ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყებისაგან მოგელოთ გააზრებულ პირსპექტიულ წინადადებებს სახალხო მეურნეობაში კოსმოსური ტექნიკის მიღწევათა გამოყენების გაფართოების თაობაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე იმ მუშაობის თავდაცვითი მნიშვნელობა, რომელსაც ბაიკონურის შრომითი კოლექტივები ეწევიან.

მშვიდობიანი კოსმოსის ჩვენეული კურსი, თქვა მან, სისუსტის ნიშანი ნუთავის ეგონება. იგი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას გამოხატავს. ჩვენ საერთაშორისო გაერთიანებას ვთავაზობთ თანამშრომლობას მშვიდობიანი კოსმოსის ათვისებაში. ეს პოზიციურ გამოხმაურებას პოულობს მთელ მსოფლიოში. ჩვენ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგი ვართ, მათ შორის კოსმოსშიც.

ახლა ამერიკის მმართველი წრეები გამალებით ცდილობენ დაბრკოლებები შეუქმნან მორიგებათა მიღწევაში დასახულ პროგრესს. ახლა მსოფლიო სიტუაციის განვითარების პასუხსაგები მომეწინა. და ჩვენ დინამიკურად გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა მივაღწიოთ რეალურ ძვრებს. ჩვენი ინტერესები აქ ამერიკელი ხალხის ინტერესებსაც ემთხვევა და მსოფლიოს სხვა ხალხების ინტერესებსაც. ისინი არ ემთხვევა იმათ ინტერესებს, ვინც გამალებულ შეიარაღებაზე ითბობს ხელს, ვისაც სურს უპირატესობას მიაღწიოს კოსმოსის მეშვეობით.

თქვენ ჭკვიან იცით ჩვენი ბოლოდროინდელი წინადადებები, მათ შორის ბირთვული იარაღისაგან ევროპის გაწმენდის თაობაზე გამოთქმული წინადადებაც. სიტყვა ახლა შეეერთებულ შტატებსა და ნატოს ქვეყნებზეა. მათ უნდა გვიჩვენონ ახლა, რა ფასი აქვს მათს პოლიტიკას, რომელსაც ისინი ამდენი წელია რეკლამას უწევენ, და რა ფასი აქვს მათს განცხადებებს ამ საკითხებზე. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა, მთელი პროგრესული ძალები დაირაზმონ იმ ძალებთან საბრძოლველად, რომლებსაც არ სურთ განიარაღება. ყველაფერი, რაც გამალებული შეიარაღების საკითხებს ეხება, ახლა იმდენად სერიოზულია, რომ მსოფლიო თითქოსდა გზაჯვარედინზე იმყოფება. საით წავა მსოფლიო — აი, რა არის საკითხავი.

ამოცანა ახლა ის არის, რომ არ დაიკარგოს შანსი, რომელიც ჩვენი ინიციატივიანი პოლიტიკის წყალობით იქმნება. მას მხარს უჭერენ ფართო წრეები მსოფლიოში, ჩვენ თანამიმდევრულად ვიმოქმედებთ, რათა გამოვაკეთოთ საერთაშორისო ურთიერთობა.

ყოველგვარი ლაქლაქი ბირთვული იარაღისაგან დაცვაზე. ხალხების უდიდესი მოტყუებაა. სწორედ ამ პოზიციებიდან ვაფასებთ ეგრეთ წოდებულ სტრატეგიულ თავდაცვითის ინიციატივას, რომლის განხორციელებას ესწრაფვის ამერიკის ადმინისტრაცია.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა მარტო გადასახადების გადამხდელთა ძარცვა კი არა, უგუნური წამოწყებაც არის თავდაცვის თვალსაზრისით. რა არის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის უმთავრესი საშიშროება, რომელიც უნდა ვიცოდეთ? იგი შლის სტრატეგიულ სტაბილურობას, გამალებული შეიარაღება გადადის კოსმოსში, რაც კიდევ უფრო აჩქარებს გამალებულ შეიარაღებას დედამიწაზე. მაგრამ განა ეს ის მსოფლიოა, რომელსაც ჩვენ და თქვენ ვესწრაფვით? ეს არის მსოფლიო, რომელშიც ყოველთვის შეიძლება მოხდეს რაღაც მოულოდნელი, სადაც გაძლიერდება საშიში სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობა არა პოლიტიკური გადაწყვეტილებების, არამედ ტექნიკის გაუმართაობის გამო. ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით გამალებული შეიარაღების კოსმოსში გადატანას. ჩვენ საკუთარ მოვალეობად ვრაცხთ მთელ მსოფლიოს დავანახვოთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის სერიოზული საშიშროება.

დარწმუნებული ვართ, რომ, ამგვარად როცა ვიქცევთო, ვმოქმედებთ საბჭოთა ხალხის, სხვა ხალხების ინტერესების შესაბამისად. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ იმოქმედოს.

ჩვენ სოციალისტურ ქვეყნებთან ხელიხელჩაკიდებული ვმოქმედებთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების პოლიტიკური საყოფსულტაციო კომიტეტის თათბირი, რომელიც მაისის დამლევს უნდა გაიმართოს, თავის სიტყვას იტყვის ამ საკითხზე.

ადამიანები შეშფოთებულ არიან მსოფლიოში შექმნილი სიტუაციით. მილიტარიზმისადმი წინააღმდეგობა მატულობს, და ჩვენ დიდად ვაფასებთ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მეცადინეობას ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვუბრუნდები რა ჩვენს შინაურ საქმეებს, მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა: ჩვენი საერთო ვალია შეუნელებლად ვიმუშაოთ გარდაქმნისათვის. ეს ჩვენთვის უდიდესი გამოცდაა, ყველა თაობის საბჭოთა ადამიანის, ყველა კომუნისტისა თუ უპარტიოს გამოცდაა.

შეხედეთ, როგორ მიკერძოებით, გამოწყვლილვით სწავლობენ დასავლეთში ყველაფერს, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება. სხვადასხვა სოვეტოლოგიური ცენტრები ემსახურებიან ამ ფუნქციას. ისინი მიხვდნენ, [illegible] პლენუმის შემდეგ საქმე ძირეულად იცვლება, ჩადგება სერიოზული მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასაჩქარებლად. და სწორედ ეს აშფოთებს ყველაზე მეტად გარკვეულ წრეებს დასავლეთში. და მათ დაიწყეს მასირებული შეტევა გარდაქმნაზე. ისინი რომ საერთოდ გარდაქმნის წინააღმდეგი იყვნენ, ყურს არავინ დაუგდებდა. რაკი ამას ხედავენ, ახლა ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს გარდაქმნა ჩვენში სანახევრო ზომა იყოს, არასაკმაოდ რევოლუციური და ეფექტური. მათ სურთ საეჭვო გახადონ ჩვენი გეგმების რეალურობა.

მართლაც, გარდაქმნა გაცხოველებულ დისკუსიებს იწვევს. ადამიანებს უნდათ ყველაფერში გაერკვნენ დ შეგნებულად მიიღონ მონაწილეობა ახალი ამოცანების გადაწყვეტაში. ეს კარგია, ამხანაგებო, რომ ადამიანები აქტიურად მსჯელობენ ჩვენს საქმეებზე, გარდაქმნის მიმდინარეობაზე, ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ დაჩქარონ მოძრაობა. ყველაფერს რეალურად უნდა ვუყურებდეთ. სიძნელეები იქნება, შეიძლება შეცდომებიც იყოს. მაგრამ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ და მტკიცედ და შეუპოვრად ვივლით წინ.

ადამიანების ძირითადი მასა გარდაქმნის მხურვალე მომხრეა. შესაძლოა, ზოგმა ჯერ არ იცის, რა აკეთოს დღეს, მაგრამ ხვალ ისინი ამას მიხვდებიან. ოღონდ არ არის საჭირო ეტაპებზე გადახტომა, საჭიროა გულდაჯერებით და მტკიცედ სვლა დასახული გზით, ჩვენს მიერ მიღებული გეგმების შესრულება.

ფიქრობ, ამ შეხვედრაზე ერთმანეთს დავშორდებით იმის შეგნებით, რომ თანამოაზრეები ვართ. **(მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას დამსწრენი დიდი ყურადღებით უსმენდნენ და ხშირად გაისმოდა ტაში).**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ყიდული ზეთოვანი კულტურების თესლისათვის მიეცეთ შესასყიდი ფასების დანამატი 100 პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, თუ შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი თესლის (მთლიანად ზეთოვანი კულტურების) მიყიდვის სახელმწიფო გეგმას, ხოლო მეურნეობებს, რომლებიც ამ დონეს გადააჭარბებენ, მაგრამ ვერ შეასრულებენ გეგმას, — 50 პროცენტის ოდენობით;

1987 წლის მოსავლიდან დაწყებული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც იწყებენ ზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანას, მათ მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების თესლის მიყიდვის პირველი სამი წლის განმავლობაში მეიცეთ დაწესებული შესასყიდი ფასების დანამატი 50 პროცენტის ოდენობით;

1987 წლის მოსავლიდან დაწყებული კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სახელმწიფოსათვის რეალიზებული თითეული ცენტნერი ზეთოვანი კულტურების თესლისათვის მიჰყიდონ:

რაფსისა და შალგისათვის — 50 კილოგრამი შროტი (კოტონი) და 50 კილოგრამი კომბინირებული საკვები;

ზეთოვანი სელის, წიწმატასელისა და მდოგვისათვის, — 40 კილოგრამი შროტი (კოტონი) და 50 კილოგრამი კომბინირებული საკვები;

ბუბუსლათინისათვის — 400 კილოგრამი კომბინირებული საკვები.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფოსადმი რეალიზებული მზესუმზირის ზეთოვანი თესლისა და სოიის სანაცვლოდ შროტების (კოტონების) და კომბინირებული საკვების შემხვედრი მიყიდვა ხდება იმ პირობებით და ოდენობით, რომლებიც დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მაისის № 358 დადგენილებით (მუხლი 3).

შემოიღონ 1987 წლიდან მეურნეობებისათვის, რომლებიც გაზრდიან ზეთოვანი თესლის წარმოებას და მიჰყიდნიან ზეთოვანი ნედლეულის ნაყოფს ან ზეთოვანი ნედლეულის ნაყოფს ან ზეთოვანი ნედლეულის ნაყოფს

ავამოქმედოთ დაჩქარების ქველა ბერკეტი

(დასასრული)

შემდეგ საკავშირო დაქვემდებარების მთელმა რიგმა საწარმოებმა თავიანთი დარგების შტაბებში მიაღწიეს პროდუქციის წარმოების გეგმების თითქმის 50 მილიონი მანეთით შემცირებას.

ოთხ თვეში პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის დაგალებები ვერ შეასრულა მანქანათმშენებელი კომპლექსის 9 საწარმომ, მათ შორის „ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა“ და „ელმავალმშენებლის“ გაერთიანებებმა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვამ“ და სხვებმა.

სხდომის მონაწილეთა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში შექმნილმა სერიოზულმა მდგომარეობამ, რამაც საგრძნობლად გაზარდა მომხმარებლის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. თავის მხრივ, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ფულის მიმოქცევაზე რესპუბლიკაში. მოიყვანეს ასეთი მაგალითი: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მათთვის მინიჭებული სამეურნეო დამოუკიდებლობა გამოიყენეს არა გასავლიანი ნაწარმის გამოშვების გასაადვილებლად, არამედ თავდაპირველი გეგმის 116 მილიონი მანეთით შესამცირებლად. ამგვარი მოქმედების შედეგად მთელ რიგ საწარმოებში ხალხისათვის განკუთვნილი ნაწარმის გამოშვება ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე გადაანგარიშებით ზოგჯერ მირყეობს მინიმალურ დონეზე — 1-დან 10 კაპიკამდე. ხოლო რესპუბლიკის მთელი ქარხნებისა და ფაბრიკების მესამედი საერთოდ არ აწარმოებს ამ საქონელს.

ამავე დროს ყოველგვარი ნაწარმის გამოშვების ზრდას უსათუოდ თან უნდა სდევდეს მისი ხარისხის გაუმჯობესება. პროდუქციის სახელმწიფო მიღება ის ლაკმუსის ქაღალდი გახდა, რომელმაც მკაფიოდ გამოავლინა ეკონომიკის ვიწრო ადგილები. და თუმცა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეკლამაციათა რიცხვი 20-ჯერ შემცირდა, ხოლო ნაწარმის ცუდი ხარისხისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციათა თანხა — 50-ჯერ, თვითდამშვიდების საბაბი მაინც არ არის და არც უნდა იყოს. ჯერაც იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის საწარმო გაუსავლელი ნაწარმის გამოშვებას ზრდის. მაგალითად, პირველად დიდი ხნის მანძილზე ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ შეასრულა საგეგმო დავალებები, მაგრამ ამ ცრობას დამსწრეთა კმაყოფილება არ გამოუწვევია: წარმოების ზრდას თან არ სდევდა ხარისხის გაუმჯობესება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში საქმის მდგომარეობის განხილვისას ბიუროომ აღნიშნა, რომ შემეჯიდროებულ ვადებში უნდა ანაზღაურდეს ავდრის გამო საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებში არსებული ჩამორჩენა. გარდაქმნას საჭიროებს აგრომრეწვის გადამამუშავებელი დარგის საქმიანობა. იგი მიზნად უნდა ისახავდეს მეტი მაღალხარისხოვანი ხილისა და ბოსტნეულის კონსერვის გამოშვებას, რომლის ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო რაოდენობაში სულ 6 პროცენტია, მაშინ როცა მოლდავეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებელი 20 პროცენტს უდრის.

სხდომის მონაწილეებმა მთელი პრინციპულობით მოითხოვეს სანათადო წესრიგის დამყარება აგროსამრეწველო კომპლექსთან დაკავშირებულ ყველა დარგში, ყველა ქვეგანყოფილებაში. მხოლოდ მუშაობაში ზუსტი კავშირურთიერთობის უქონლობით, უწყვეტივი ბარიერებით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ სეტყვა, რომელიც 9 მაისს დაატყდა თავს კახეთს და მრავალი მილიონი მანეთის ზარალი მოგვაყენა, დროულად ვერ აიცილა თავიდან სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურმა, რომლის შენახვაც არცთუ ისე იაფი ჯდება.

კვლავინდებურად არიერგარდში არიან მშენებლები. ძირითადი ფონდების ამოქმედებამ იანვარ-აპრილში შეადგინა მხოლოდ 8 პროცენტი წლიურ გეგმასთან და 30 პროცენტი — აშკარად შემცირებულ ექვსი თვის გეგმასთან შედარებით.

მასების ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობით

ქალაქი ყველაფრის თავია — ასე შეიძლება ლაკონიურად განისაზღვროს ფოთის ცნობილი ექსპერიმენტის დედაარი, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას და რომელმაც უკვე მოიპოვა საკავშირო აღიარება. განსაზღვრულია სიახლის ძირითადი მიზნებიც: ეს არის საწარმოებისა და რეგიონის ინტერესების შეხამება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მაქსიმალური გამიჯვნა, მოცემული ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმატებული გადაჭრა საკუთარი ძალებით.

ექსპერიმენტის განვითარებას, მის გადაქცევას ყოველდღიურ პრაქტიკად მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა მთავრობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისმა გადწყვეტილებებმა. სიახლის გავრცელების დიაპაზონი მნიშვნელოვნად გაფართოვდა: ახლა იგი მარტო საქართველოს მრავალ ქალაქში კი არა, შუა აზიაში, უკრაინაში, სვერდლოვსკის ოლქშიც მოქმედებს.

ფოთელთა ინიციატივას ახასიათებს დიდი საბოლოო შედეგი, მეცადინეობის კონცენტრაცია საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის ცხოვრების მთავარ მიმართულებებზე. გაფართოებულ სხდომაზე მოყვანილ ასეთი ციფრები: შარშან სამრეწველო საქმიანობის საერთო მოგება ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების მუშაობის შედეგად გაიზარდა ფოთში 2,2-ჯერ, ქუთაისში — ერთ-ნახევარჯერ. მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდაც: 1986 წელს, 1985 წელთან შედარებით, იგი გაიზარდა თბილისში 18 პროცენტით, ქუთაისში — 22 პროცენტით, ფოთში — 3,1-ჯერ.

ქალაქის პრობლემათა გადაჭრაში აქტიურ მონაწილეობას თან ახლავს ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა. მაგალითად, ფოთში იგი მეთერთმეტე ხუთწლედში თითქმის 10-ჯერ გაიზარდა, აქ ყოველწლიურად ითვისებენ 12-15 ახალი სახეობის ნაწარმს, რომელსაც გასავალი აქვს.

მაგრამ ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების საქმიანობაში არცთუ ცოტა პრობლემაა. მათს შეთანხმებულ მუშაობას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ის, რომ არ არის საკავშირო ორგანოების მიერ დამტკიცებული მეთოდიკური დებულებები, ღონიცხვის, ანგარიშგების, კონტროლის სისტემა და მუშაობის ზუსტი შესაფასებელი კრიტერიუმები. გაერთიანებები უფრო აქტიურად უნდა ჩაებან კოოპერაციების შექმნაში, გამოიყენონ დაუსაქმებელი მოსახლეობის შრომა, გაზარდონ მოქნილი, პატარ-პატარა საწარმოების, კულტურული, სპორტული ბაზების, ადამიანთა დასვენების ობიექტების რიცხვი.

დიდი მუშაობა უნდა გაეწიოთ კადრებისათვის იმის სწორი გაგების ჩასანერგავად, რომ დემოკრატიის გაფართოება თვითმმართველობის ყოველმხრივ განვითარებას გულისხმობს. ამიტომ გახლეთული ვერ დარჩება არა მარტო ეკონომიკური, არამედ საარჩევნო სისტემაც, რომელიც ასევე აქტიურად უნდა ჩაებას გარდაქმნის პროცესში.

არნახული საქმიანობა, დიდი აქტიურობა და დაინტერესება ახასიათებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების ახლანდელ საარჩევნო კამპანიას. იგი გახდა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ზრდის, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისა და გაფართოების შესახებ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებების პრაქტიკული რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ გამოიყენება დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ცალკეული საწარმოო ქვეგანყოფების კოლექტივებისათვის, პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ორგანოებისათვის, ქალთა საბჭოების, შრომისა და ომის ვეტერანთა საბჭოებისათვის მინიჭებული ახალი უფლებები — დასახელონ წარმომადგენლები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. მთავრდება მშრომელებისა და მოსახლეობის წინაშე დეპუტატების, აღმასკომებისა და მათი სამსახურების ანგარიშები ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

ორგანიზებულად მიმდინარეობს საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათი ქვეგანყოფების კრებებზე, სასოფლო ყრილობებზე. მოიწონეს და საყოველთაოდ ვრცელდება ყოველ მანდატზე რამდენიმე კანდიდატურის განხილვის პრაქტიკა.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაანალიზებისას, სხდომის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი აქციის განხორციელებაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. ხაზგასმით ითქვა, რომ დემოკრატიზმისა და საჯაროობის ფართოდ გაშლის მიუხედავად, თუ არ იქნა კარგად გაანალიზებული, ზუსტი, აწონ-დაწონილი ორგანიზაცია, ყველანაირი საქმე შეიძლება ჩაიფუშოს. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მიეთითათ, რომ უფრო გაბედულად უნდა დაძლიონ აზროვნებისა და მოქმედების სტერეოტიპები, მტკიცედ ებრძოლონ ზედმეტ ორგანიზებულობასა და ფორმალიზმს. ისინი უნდა დაეყრდნონ მასების ცოცხალ შემოქმედებას. შეიარაღდნენ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საუკეთესო გამოცდილებით და ყოველი ღონე იხმარონ, რათა პირნათლად ჩააბარონ საჯაროობისა და დემოკრატიზმის სერიოზული გამოცდა.

ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ დასახა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმიანობის გარდაქმნის კონკრეტული გზები, რომელთა მიზანია დაკარგული ანაზღაურება, მომდინარე წელს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა ამოცანის უთუო შესრულების უზრუნველყოფა, ადგილობრივი საბჭოების აქტიურობის გაზრდა ამ საქმეში და საარჩევნო კამპანიის მაღალ ორგანიზაციულ, იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობა. (**საქინფორმი**).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ ორგანოებში, კულტურისა და მეცნიერების დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცე წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ნოდარ შალვას ძე **ჯანბერიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

გარდაქმნის კურსით

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნ

რესპუბლიკის მრეწველობა 1987 წლის იანვარ-აპრილში

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა აპრილში გასული წლის ფაქტობრივ დონესთან შედარებით 6,3 პროცენტით გაიზარდა, მთლიანად იანვარ-აპრილში — 1,6 პროცენტით.

იანვარ-აპრილში გასული წლის ამავე პერიოდის საგეგმო დონესთან შედარებით გეგმით გათვალისწინებული იყო 2,7 პროცენტი მატება, ფაქტობრივად მან შეადგინა 4,0 პროცენტი, რაც წლიურ დავალებაზე 0,3 პუნქტით მეტია.

შრომის ნაყოფიერების დონე გასული წლის შესაბამის პერიოდში ფაქტობრივად მიღწეულთან შედარებით ერთი პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო წარმოების მთელი მატების 62,5 პროცენტი. გადაჭარბებით არის შესრულებული მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების დავალებანი.

სახელშეკრულებო ვალდებულებები სრული მოცულობით შეასრულა საწარმოთა დაახლოებით 89 პროცენტმა. მთლიანად პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების ვალდებულებების გათვალისწინებით შესრულებულია 98,6 პროცენტით, რაც აღემატება 1987 წლის I კვარტალში მიღწეულ დონეს.

რეალიზაციის გეგმის შესრულებას მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს **ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში** ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

	ზრდის ტემპი (პროცენტობით)				
	სასაქონლო პროდუქცია				შეასრულა მიწოდების გეგმა
	საგეგმო ბაზასთან შედარებით				
	გეგმის ხელფასი	ფაქტობრივად	ფაქტობრივად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	შრომის ნაყოფიერება ფაქტობრივად გასული წლის შესაბ. პერიოდთან შედარებით	
საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური (საკავშირო დაქვემდებარების) სამინისტროთა საწარმოები:					
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო	100,5	101,1	100,8	98,8	100,0
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	116,4	188,9	80,0	99,8	100,0
სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო	101,0	96,9	95,7	95,6	90,6
სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო	103,6	105,8	103,8	104,2	100,0
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	96,2	99,4	94,1	94,3	100,0
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	99,1	101,0	97,8	100,4	99,6
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	104,3	106,8	102,2	105,9	100,0
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	101,3	104,2	104,2	103,7	99,1
სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრო	99,5	106,7	111,8	112,2	99,1
სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	141,5	136,2	131,5	104,8	100,0
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	105,4	104,5	103,5	100,5	96,0
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო	111,1	95,3	99,1	99,5	97,7
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	110,0	104,9	101,4	100,3	99,4
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	107,4	93,7	93,4	87,6	98,7
სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	95,9	99,4	96,5	109,7	99,4
სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105,0	106,4	105,3	104,5	100,0
სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მანქანათმშენებლობის სამინისტრო	108,0	110,0	107,1	105,8	99,6
სსრ კავშირის ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	98,8	100,2	97,4	99,1	100,0
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	107,5	107,7	102,5	104,7	82,3
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	72,2	67,3	67,3	69,6	100,0
სსრ კავშირის სამედიცინო და ბიოლოგიური მრეწველობის სამინისტრო	109,2	111,5	109,1	108,5	100,0
სსრ კავშირის გზათა სამინისტრო	104,4	106,7	103,4	102,2	100,0
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები					
საქართველოს სსრ ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	105,6	98,7	96,7	96,8	98,3
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	104,4	104,4	102,4	100,9	96,2
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	96,1	96,1	96,0	96,4	97,0
საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი	107,3	111,5	106,9	107,4	99,8
საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო	106,6	109,6	104,8	104,0	100,0
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	104,9	106,5	103,6	102,0	99,1
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	102,9	105,7	104,7	104,5	97,6
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	104,8	105,9	102,5	101,4	99,8

წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა საგეგმო დავალებების შესრულება უზრუნველყვეს ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბათუმისა და ბაბუშერის ხისდამმუშავებელმა კომბინატებმა, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, ლილოს საშენ მასალათა კომბინატმა, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყო“, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ბაქტეროლოგიური პრეპარატების საწარმომ და ბევრმა სხვამ.

ამავე დროს იანვარ-აპრილის მუშაობის შედეგების მიხედვით ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის საგეგმო დავალებათა შესრულება საწარმოო გაერთიანებებმა: ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ — გეგმას დააკლო 7690 ათასი მანეთის პროდუქცია, ჩარხსაშენებელმა — 5066 ათასი მანეთისა, „ელმავალმშენებელმა“ — 1568 ათასი მანეთისა, „საქელექტრომანქანამ“ — 857 ათასი მანეთისა; გეგეჭკორის ოპტიკურ-მექანიკურმა ქარხანამ — ათითასობით მანეთისა, კალინინის სახელობის სამხმელო მოწყობილობის ქარხანამ — 113 ათასი მანეთისა და სხვ.

რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების სისტემებში დიდია იმ საწარმოთა ხვედრითი წილი, რომლებმაც მიმდინარე წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირეს წარმოების დონე, მათ შორის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში — საერთო რიცხვის 46,6 პროცენტი, ხეტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში — 40,0 პროცენტი და 26,5 პროცენტი შესაბამისად. წარმოების ფაქტობრივი მოცულობანი შეამცირეს მის დაგეგმილ ზრდასთან შედარებით 77 საწარმოსა და გაერთიანებაში, მათ შორის: სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში“, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“, საქართველოს სსრ ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საწარმოო გაერთიანება „განთიადში“, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში და ზოგიერთ სხვა საწარმოში. ამ გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდა.

მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დონე უფრო ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემებში (გეგმის შესრულების დონე 96,2 პროცენტი), მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (97,0 პროცენტი), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (97,6 პროცენტი), ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (98,3 პროცენტი) სისტემებში. განსაკუთრებით ჩამორჩებიან: რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა (დაკლებული პროდუქციის მოცულობა — 4,8 მილიონი მანეთი), თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება (1,95 მილიონი მანეთი); ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — ზესტაფონის საწარმოო გაერთიანება (1,21 მილიონი მანეთი), ქუთაისის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (0,44 მილიონი მანეთი); ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — სამტრედიის ხისდამმუშავებელი კომბინატი (1,13 მილიონი მანეთი).

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა შორის დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად მომხმარებელს დააკლეს ყველაზე მეტი თანხის პროდუქცია საწარმოო გაერთიანებებმა: „ელმავალმშენებელმა“ — თითქმის 3 მილიონი მანეთისა, „ელექტროაპარატმა“ — 1,0 მილიონი მანეთისა, „საქელექტრომანქანამ“ — 0,87 მილიონი მანეთისა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ — 0,8 მილიონი მანეთისა, ჩარხსაშენებელმა — 0,62 მილიონი მანეთისა, აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ — 5,98 მილიონი მანეთისა.

წარმოების მოცულობის ზრდის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის საგეგმო დავალებათა შესრულება, აგრეთვე პროდუქციის ზრდის ფაქტობრივად მიღწეული ტემპი 1987 წლის იანვარ-აპრილში **ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების** მიხედვით მოგვყავს ქვემოთ:

	ზრდის ტემპი (პროცენტობით)			
	საგეგმო ბაზასთან შედარებით			
	გეგმის მიხედვით	ფაქტობრივად	ფაქტობრივად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	რეალიზაციის გეგმის შესრულება პროდუქციის ვალდებულებებით
აფხაზეთის ასსრ	107,3	111,1	104,8	99,99
აჭარის ასსრ	103,8	106,4	103,5	96,3
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	104,2	106,2	103,6	99,5
ქალაქები:				
თბილისი	104,9	105,3	104,4	98,9
სოხუმი	102,7	105,6	100,0	100,0
ბათუმი	103,8	106,5	103,3	96,1
ცხინვალი	102,9	105,0	102,6	99,6
ქუთაისი	102,8	100,6	98,4	95,8
რუსთავი	101,3	103,8	103,5	99,3
ფოთი	81,7	82,9	88,1	100,0
გორი	89,1	94,3	93,1	96,8
ზუგდიდი	101,1	102,8	99,2	100,0
ჭიათურა	99,3	100,7	96,0	100,0
ტყიბული	98,6	102,3	96,5	99,3
გაგრა	108,1	112,5	102,7	100,0
წყალტუბო	118,3	122,5	115,5	100,0
ტყვარჩელი	84,6	83,6	87,3	99,2
მარნეული	105,4	107,6	102,8	99,7

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგინა:

	წარმოებულია 1987 წლის იანვარ-აპრილში	იანვარ-აპრ. რიცხვს გეგმის შესრულება %
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	5,0	100
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	686	100,6
ფოლადის მილები, ათასი ტონა	170	100,7
მინერალური სასუქები (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა	53,7	104
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	12,2	88
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	11,6	102
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	39,5	84
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	10,7	74
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვისა	1,8	145
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	15,7	98
ელექტრონული ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	12,5	89
კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და. მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	11,5	97
მერქნის გამოზიდვა ათასი ფესტმეტრი (საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა ბაზით)	60,8	100,8
ქაღალდი, ათასი ტონა	9,1	101
ასაწყობი რკინა-ბეტონი ათასი კუბ. მეტრი	438	100,1
ასბეტ-ცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიონი პირობითი ფილა	13,2	73
რბილი საბურულე მასალები და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	32,7	96
მოსაპირკეთებელი მოჭიქული კერამიკის ფილები ათასი კვადრატული მეტრი	308	100

შესრულდა ქვანახშირის, ნავთობის, თანამდევი გაზის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ელექტრონების გამომუშავების, თუჯის, ფოლადის საყოფაცხოვრებო საღუმლე სათბობის, მილებისა და მილსადენის თერმოპლასტების დეტალების, მინერალური სასუქების (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების (კაპროლაქტამი), სინთეზური სარეცხი საშუალებების, საცეცხლე მაზუთის წარმოების, ნავთობის პირველადი გადამუშავების გეგმა.

ამავე დროს, მთელმა რიგმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულება. კერძოდ, ჩამორჩენენ საწარმოო გაერთიანებანი: „ელმავალმშენებელი“, — მაგისტრალური ელმავლების წარმოებაში, ჩარხსაშენებელი — ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოებაში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა — სატვირთო ავტომობილების, „საქკვებმანქანა“ — კვების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ — გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, „ანალიზსელსაწყო“ — ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი — ცემენტისა და შიფერის, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — შავი ლითონების ნაგლინის წარმოებაში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობამ მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგინა 2147,7 მილიონი მანეთი. უზრუნველყოფილია საგეგმო დავალების შესრულება როგორც მთლიანად, ისე სასურსათო საქონლის, მსუბუქი მრეწველობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების მიხედვით.

მონაცემები **სახალხო მოხმარების საქონლის** წარმოების შესახებ მოგვყავს ქვემოთ:

	წარმოებულია 1987 წლის იანვარ-აპრილში	იანვარ-აპ. რიცხვს გეგმის შესრულება %
სასურსათო საქონელი		
ხორცი, ათასი ტონა	30,0	103
ძეხვეული, ათასი ტონა	12,2	101
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	5,0	97
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	81,6	105
ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი, ათასი ტონა	35,0	105
კონსერვები მილიონი პირობითი ქილა	191	118
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი		
ფერად გამოსახულებიანი ტელევიზორები, ათასი ცალი	12,5	90
ავეჯი, მილიონი მანეთისა	47,4	110
შპალერი, მილიონი პირობითი თოფი	8,4	99
მსუბუქი მრეწველობის საქონელი		
შეკერილი ნაწარმი (დამუშავების ნორმატიული ღირებულებით) მილიონი მანეთისა	31,2	101
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	19,2	100,5
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	6,2	103
წინდები, მილიონი წყვილი	11,2	102

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებმა უმნიშვნელოვანესი სასურსათო საქონლის წარმოების გეგმები შეასრულეს. 1986 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით ნატურალური დაფასოებული ჩაის წარმოება გაიზარდა 9,9 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქციისა — 9,8 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 17,5 პროცენტით, კონსერვებისა — 47,4 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა ლიქიორ-არყის ნაწარმის წარმოება.

1987 წელს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინიტროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მთელი რიგი საწარმოები, მუშაობენ **თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების** პირობებში. I კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით აღნიშნული სამინისტროების საწარმოებმა, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა გარდა ვერ უზრუნველყვეს სამრეწველო საქმიანობის შედეგად მოგების საგეგმო დავალებათა შესრულება.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მედიკოსთა სესია

სკკპ ცენტრალური კომიტე

უკსოეთში

ფაქტები • მოვლენები

მეცნიერება და ტექნიკა

ა ერაგვის ხეობის წარსული

1971-1980 წლებში არაგვის ხეობაში, ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ წლების მანძილზე ჟინვალის ექსპედიციამ არაგვის ხეობაში გამოავლინა, გათხარა და მეცნიერულად შეისწავლა სხვადასხვა პერიოდის მეტად საყურადღებო არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები.

ჟინვალის ექსპედიციას საველე კვლევა-ძიებასა დიდ დახმარებას უწევდნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ტექნიკუმების, პროფტექნიკური სასწავლებლების და საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი მასალა ინახება დუშეთში, მილახვრიანთკარის გვიანი შუასაუკუნეების ციხე-დარბაზში, სადაც მოწყობილია სათანადო ფონდები. იქვე, ეზოში მიმდინარეობს აღდგენა ზოგიერთი ხუროთმოძღვრული კომპლექსისა, რომლებიც ჟინვალის წყალსაცავის ტერიტორიიდან არის გადმოტანილი, ხოლო ზოგიერთი უნიკალური და მნიშვნელოვანი ექსპონატი საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზებს და ძვირფასი ნივთების საცავს ამშვენებს.

ახლად გამოვლენილი მასალებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მეცნიერული და ფართო საზოგადოების წრეები.

არაგვის ხეობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები ორჯერ იყო გამოფენილი მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და სამჯერ — დროებით გამოფენებზე თბილისში. 1982 წელს პარიზში ერთულულ გალერეაში „გრან-პალეში“ მოწყობილ ქართული ხელოვნების გამოფენაზე ექსპონირებული იყო III-IV საუკუნეების ოქროს ხელსაბამი წნული ძეწკვითა და ინკრუსტირებული მედალიონით, რომელიც არაგვისპირში აღმოჩენდა.

მოხსენებები ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებზე არაერთხელ მოისმინეს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სესიებსა და სიმპოზიუმებზე.

სამეცნიერო კრებულებსა თუ ჟურნალებში ხშირად იბეჭდება არაგვის ხეობის წარსულისადმი მიძღვნილი სტატიები.

ინგლისის კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მოთხოვნით გაიგზავნა კრებული „ჟინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები)“, რომელიც ქართულ-რუსულ ენებზე გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1980 წელს.

1984 წელს რუსულ ენაზე გამოიცა კრებული, რომელშიც შესულია ანოტაციები დუშეთის კონფერენციის მოხსენებებისა, მთისა და ბარის, აგრეთვე საქართველოს და ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა ურთიერთობის პრობლემებს რომ მიეძღვნა. აღნიშნული კრებული მოითხოვეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის კონგრესისა და მასაჩუსეტსის შტატის ჰარვარდის უნივერსიტეტის სლავური დეპარტამენტის ბიბლიოთეკებში.

ექსპედიციის შრომების კრებული „ჟინვალი. I. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“ გაიგზავნა უნგრეთში არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ახლახან უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „აქტა არქეოლოგიკა“ დაიბეჭდა ცნობილი უნგრელი არქეოლოგის იშტვან ერდელის რეცენზია აღნიშნულ კრებულზე.

თავისი მრავალწლიანი მუშაობის დროს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის კოლექტივს მოუხდა გარკვეული არქეოლოგიური სამუშაოების შესრულება ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ტრასის ზოგიერთ მონაკვეთზე და სარწყავი არხების მშენებლობის ზონაში ბაზალეთის პლატოზე.

გარდა ამისა, ექსპედიციამ განახორციელა მეტად შრომატევადი სადაზვერვო მუშაობა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ზონაში არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების ფიქსაციისათვის.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში გრძელდება და ამასთან ერთად მიმდინარეობს ახლად გამოვლენილი მასალების მეცნიერული შესწავლა.

ბ. ჯორბენაძე,
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე.

„ვეფხისტყაოსანი“ ლატვიურ ენაზე

მთარგმნელის შრომას ძვირფასი ქვის დამამშვენებელი იუველირის სიზუსტეს ადარებს ლატვიელი ლიტერატორი არვიდ სკალბე. ეს მართლაც ასეა, როცა საქმე ეხება ისეთი გამოჩენილი პოეტების შემოქმედებას, როგორიც არის ზოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები გაეცნო სკალბემ საკავშირო კორესპონდენტს.

— ძნელი, მაგრამ ამავე დროს საინტერესო იყო ეს სამუშაო,— თქვა მთარგმნელმა, — განსაკუთრებით რთულია აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი მკაფიო ეპითეტები, ჰიპერბოლები, რომლებიც იშვიათად გვხვდება უფრო თავშეკავებულ ლატვიურ ენაში, ასე ძუნწად რომ იყენებს შედარებებს. როგორც მკითხველი, გოიცებული ვარ საუკუნეთა მანძილზე უბერებელი ხალხური სიბრძნითა და ოპტიმიზმით, ადამიანის რწმენით, რომლითაც გამსჭვალულია მეთორმეტე საუკუნის ეს ქმნილება. შეხედეთ, რა აქტუალური სიტყვები შემოქმედების, შრომისა და გამრჯეობის შესახებ — გეგონება თანამედროვე მოგმართავსო.

მთარგმნელის ამოცანას ართულებდა ისიც, რომ მან გადაწყვიტა ზედმიწევნით დაეცვა მსუბუქი და დაბეგვილი რუსთაველური მაირი. რამდენადაც ლატვიურ ენაზე მახვილი პირველ მარცვალზე მოდის, ადეკვატური ყოველდობის მიგნება ძალზე გაჭირდა. ათ წელზე მეტი ხანი გავიდა და მხოლოდ პირველი შვიდ ნაწერია დამთავრებული. როგორც თვითონ სკალბე ამბობს, წარმოუდგენელად ძნელი პოეტური მინდორი მხოლოდ მოიხნა. ახლა საჭიროა გატეხილი ყამირის სერიოზული დამუშავება— ყველა მონახული რითმის, მეტაფორის და აფორიზმის მხატვრულ სახედ გადაქცევა.

არვიდ სკალბე ლატვიის სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ათზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია. მის ლექსებში მორთოლვარე სიმღვით ყოერს ხალხური სიბრძნე, იგრძნობა ლატვიური პოეტური ფოლკლორის სულისკვეთება. და ვინც გულით აითვისა თავისი ხალხის სულიერი სიმდიდრე, მას არც სხვისი კულტურის აღქმა გაუჭირდება.

ა. როზენიეცი,
საკადესის კორ.
რიგა.

კონტაქტები, თანამშრომლობა

პარიზელი პედაგოგები თბილისში

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს ფრანგული ენის შესწავლაში ეხმარებიან პარიზელი მასწავლებლები ალინა მალარი და ემანუელ ბლოკი. თავიანთი კოლეგების მსგავსად, რომლებიც ფრანგ ახალგაზრდებს რუსულ ენას ასწავლიან, ისინი თბილისში ჩამოვიდნენ ორი ქვეყნის ურთიერთობის პროგრამის შესაბამისად.

მათი საქმიანობა მხოლოდ ამ ინსტიტუტით არ იფარგლება. მაგალითად, ამ დღეებში საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში პარიზელ პედაგოგთა ინიციატივით გაიმართა ფრანგული დოკუმენტური ფილმების ჩვენება, რომლებიც ასახავენ არქიტექტურის სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, ამ დარგის სხვადასხვა პრობლემის დაძლევის გზებს.

—ეფექრობ, ეს კინოსურათები ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების სპეციალისტების, ხალხების დაახლოებას, თანამშრომლობის განმტკიცებას, — თქვა ალინა მალარმა. — უახლოეს ხანში ვაპირებთ აგრეთვე მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს დედაქალაქში გამოჩენილი არქიტექტორის ლე კორბიუზიეს, სხვა ცნობილი ხუროთმოძღვრების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ორი გამოფენის მოწყობაში. იმედი გვაქვს, ისინი თბილისელთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. (საქინფორმი).

„ლატვიურ ენაზე

„ქართულმა ცეკვამ მოხიბლა

დუბლინი. ირლანდიის დედაქალაქში დიდი წარმატებით დაიწყო ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ორდღიანი გასტროლები.

დუბლინელი მაყურებელი გულთბილად ხვდება მზიური საქართველოს მსახიობებს. ორი წლის წინათ ირლანდიაში გამართული გასტროლების დროს მათ მოხიბლეს მაყურებელი თავიანთი ცეცხლოვანი ცეკვებით. და საკვირველი არ არის, რომ ამჯერად საბჭოთა მოცეკვავეების ოსტატობით დატკბობის მსურველი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ბილეთები.

გულთბილად შეხვდა ანსამბლს დედაქალაქის პრესაც. „ქართველი მსახიობების გამოსვლა, — წერდა ავტორიტეტიანი „აირიშ ტაიმსი“, — მომხიბლავი და მომაჯადოებელი სანახაობაა, რომელიც აუცილებლად უნდა იხილო. დუბლინში გამოსვლების შემდეგ ანსამბლი ტურნეს გამართავს დიდ ბრიტანეთში.

ქართველ ეკონომისტთა ასოციაციის ... ...

... ...

... ...

... ...